საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1213 2017 წლის 15 ივნისი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების
განხორციელების თაობაზე

1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 7 566 900 (შვიდი მილიონ ხუთას სამოცდაექვსი ათას ცხრაასი) ლარისა, კერძოდ:

ა) აბაშის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 300 000 (ორი მილიონ სამასი ათასი) ლარისა;

ბ) ონის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 450 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

გ) მესტიის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 285 000 (ერთი მილიონ ორას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 915 000 (ცხრაას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 410 000 (ოთხას ათი ათასი) ლარისა;

ვ) დმანისის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ზ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

თ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 165 000 (ას სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

ი) ჭიათურის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

კ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 115 000 (ას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

ლ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

მ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ნ) სარაგაულის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 31 900 (ოცდათერთმეტი ათას ცხრაასი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების საფუძველზე, თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

N 1910
19/06/2017

1910-13-3-201706191644

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ერეკლე კუხიანიძეს

ბატონო ერეკლე,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ბიუჯეტში ცვლილების დროს „დიდგორობის" 896-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულის ჩასატარებლად გათვალისწინებული სავარაუდო თანხა გადაანაწილოს წარმოდგენილი ჩასატარებელი ღონისძიებების მიხედვით:

1. საკონცერტო ღონისძიებების უზრუნველყოფა - 60 000 ლარი;
2. მონაწილეთა და მოსახლეობის (მსურველთა) ტრანსპორტირება - 10 000 ლარი;
3. ტერიტორიის დასუფთავება(ღონისძიებამდე და ღონისძიების შემდეგ) - 5 000 ლარი;
4. მოსაწვევები - 500 ლარი;
5. მონაწილეთა კვების ხარჯები - 3 000 ლარი;
6. სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 800 ლარი;
7. ნახერხის შესყიდვა - 600 ლარი;
8. სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთათვის ფულადი პრიზი - 1 500 ლარი
9. მაყურებელთა სკამებზე დასაფენი ქეჩის დასამაგრებელი წებო -300 ლარი;
10. ერთჯერადი პოლიეთილენის ჭიქა - 200 ლარი;
11. ჰიგიენური საშუალებები - 100 ლარი;

ჯამი: 82 000 (ოთხმოცდაორი ათასი) ლარი

პატივისცემით,

ფატიმა შავაძე

განყოფილების უფროსი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა

ადმინისტრაციული სამსახური

N 1903
16/06/2017

1903-13-3-201706161628

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ერეკლე კუხიანიძეს

ბატონო ერეკლე,

მოგახსენებთ, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან შემოსულია გამგებლის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათები უპატრონო ძაღლების მომრავლებასთან დაკავშირებით. წარმომადგენლები იტყობინებიან, რომ უპატრონო ძაღლების სიმრავლე საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. მათივე ინფორმაციაზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტში უპატრონო ცხოველთა რაოდენობა შეადგენს 150-200 მაწანწალა ძაღლს და მათი მოშორება შესაძლებელია შესაბამისი სპეციალიზებული ორგანიზაციების მომსახურების მეშვეობით, ამ მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 160 ლარს თვითოეულ ძაღლზე.
ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, დაავალოთ საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს განახორციელოს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის პროცედურები.
პატივისცემით,
ალნერი დარბაიძე

სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური

საქართველო, თეთრიწყარო, თამარ მეფის ქუჩა №34 2300
Georgia, Tetritskaro district. 2300, Tetritskaro, tamar mefe st. 34
gamgeoba@tetritskaro.gov.ge
☎ **Fax-Tel: (995 359 22 23 58)**